საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის საბალნო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№9 (6384) 22 იანვარი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

დღეს ნომერშია:

* ტრანსპორტი: პროგლემები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს
* დავიხარჯოთ საქართველოსთვის
* 1060 წლის ქართული სახარება
* გუნკერი სტალინისათვის...

მე-2—მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფიკ ნიშანოვი:
ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხი რესპუბლიკის პრეროგატივაა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დავალებით 17 იანვარს თბილისს ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რ. ნ. ნიშანოვი და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისია, რომელშიც შედიან ვ. ა. შეროფკოვი, ლ. ა. გორშკოვი, ც. ნიმბუევი. ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. კ. გამსახურდიას და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ქალაქ ცხინვალის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საუბრების დროს შეეხნენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, საქმიანი და კონსტრუქციული სკა-ბაასი გაიმართა ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში მართლწესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. განიხილეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია კონფლიქტის შეწყვეტა, რეგიონში სიტუაციის ნორმალიზაცია.

შეეხო რა სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებას, რ. ნ. ნიშანოვმა აღნიშნა, რომ შეიარაღებულ ფორმირებათა რიცხვში, რომლებიც გამოყვანილ უნდა იქნენ საგანგებო წესების რაიონიდან, არ იგულისხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილები. საზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ღონისძიებანი, რათა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს იარაღი ჩამოერთვათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი და დამატებით შეყვანილი ქვეგანაყოფების, აგრეთვე რეგიონში მყოფი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებით. ილაპარაკა რა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა.

საქართველოში რ. ნ. ნიშანოვის ყოფნის დროს გაიმართა აგრეთვე შეხვედრები რესპუბლიკის მოსახლეობასთან — ქართველებთან, ოსებთან, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან.

იმავე დღეს რ. ნ. ნიშანოვი თბილისიდან გაემგზავრა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისია განაგრძობს თავის მუშაობას.

საქინფორმი.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

17 იანვარსაც დაბინდებისთანავე ავლავ დაიძაბა ვითარება ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში. 18 საათსა და 30 წუთზე მდინარე ლიახვის ხიდის მიდამოებში ექსტრემისტებმა ააფეთქეს ავტომანქანა „მოსკვიჩი", რომელიც ისხდნენ საქართველოს მილიციის თანამშრომლები. დაიღუპა ქალაქ თბილისის მთაწმინდის რაიგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი თენგიზ ჭიპაშვილი, ტვინის შერყევა და სხეულის დაზიანებები მიიღო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო საგამმართველოს განსაკუთრებული საქმეების გამომძიებელმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა მერაბ დოლიძემ, გულმკერდის არეში დაიჭრა ავტომანქანის მძღოლი პაატა ტაბატაძე.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ექსპერტ-კრიმინალისტებიც. მაგრამ ეს ჯგუფი მოექცა ინტენსიური ცეცხლის ქვეშ. მილიციის თანამშრომელთა საპასუხო სროლის შედეგად დაჭრილია ერთი ექსტრემისტი.

ვარაუდობდნენ, რომ აფეთქებულ ავტომანქანაში იმყოფებოდა აგრეთვე ქ. თბილისის ვაკის რაიგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი ანგული ქარია. მისი გვამი 18 იანვარს დილით ნახეს მდინარე ლიახვში, შემთხვევის ადგილის მახლობლად.

18 იანვარს ცხინვალში, განსაკუთრებით მის გარეუბანში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური სროლა. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საქინფორმი.

ეროვნული თავდაცვის ფონდში

საბჭოს წვლილი: 1015 მანეთი

დღევანდელ საქართველოში შექმნილმა დაძაბულობამ, შინაურის თუ გარეშე მტრების მოძალებამ აუცილებელი გახადა ეროვნული თავდაცვის გაძლიერება. სწორედ ამიტომ დაკმაყოფილდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის, საწარმოებისა და კოლექტივების თხოვნა და შეიქმნა თავდაცვის ფონდი.

რაიონის მშრომელები დიდ აქტიურობას იჩენენ. სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში გახსნილ მე-700 ანგარიშზე თითქმის ყოველდღე შედის წარმოება - დაწესებულებების, ცალკეული მოსახლეობის მიერ გაღებული თანხა.

მართალია, ქველმოქმედება აფიშირებას არ საჭიროებს, მაგრამ არ შეიძლება ზოგიერთ მათგანზე არ აღინიშნოს. ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა თითოეულმა 15-20 მანეთი გაიღეს და სულ მე-700 ანგარიშზე 1015 მანეთი აქვთ გადარიცხული.

სხვა გზა არაა. მარტო სიმართლე არ გამოგვადგა იარაღად, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენი თავდაცვის საქმე ჩვენვე უნდა მოვაწესრიგოთ.

სპარსეთის ყურის ამბები

ეიზანია ისრაელის ჩათრევა

ხუთშაბათს დილით, ერაყმა რაკეტები დაუშინა ისრაელის ქალაქებს თელ-ავივსა და ხაიფას. ისრაელის არმიის ოფიციალური წარმომადგენლის აზრით, ეს იყო ჩვეულებრივი რაკეტები. ქიმიური იარაღი ისრაელის წინააღმდეგ არ გამოყენებულა. მსხვერპლი არ არის, დაიჭრა 12 მოქალაქე.

—ისრაელის სამხედრო ექსპერტების აზრით, რაკეტების უმნიშვნელო რაოდენობა და ქიმიური იარაღის გამოუყენებლობა შეიძლება სადამ ჰუსეინის მანევრი იყოს, რათა მოადუნოს ისრაელის ყურადღება. შემდეგი დარტყმა შეიძლება ქიმიური იყოსო, აღნიშნავენ ისინი.

თეთრმა სახლმა დაადასტურა ისრაელისათვის რაკეტების დაშენის ფაქტი და აღნიშნა, რომ მუშავდება საპასუხო აქციის ღონისძიებები.

თეთრი სახლის ადმინისტრაცია სერიოზულად არის შეშფოთებული იმით, რომ ისრაელის დამოუკიდებელმა საპასუხო მოქმედებამ შეძლოა ძირეულად შეცვალოს ომის ხასიათი სპარსეთის ყურეში, გადააქციოს იგი არაბ-ისრაელის კონფლიქტად, რაც წყალს შეუყენებს ანტიერაყული კოალიციის ერთობას.

ფრანგი სამხედრო სპეციალისტების აზრით, ერაყს შეტევას თელავივზე და ხაიფაზე არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა და იგი ფასდება როგორც პროვოკაცია, რომლის მიზანია ისრაელის ჩათრევა სამხედრო კონფლიქტში.

ამერიკული ტელეკომპანიის ენბი-სის ცნობით, ისრაელი ემზადება უპასუხოს ერაყს. ისრაელის განკარგულებაშია 700-1100 მილი რადიუსის მოქმედების რაკეტები.

ერაყის აქციასთან დაკავშირებით, ივრუსალიმში მუშაობა შეაჩერა შეერთებული შტატების საელჩომ და საკონსულომ.

მენის სააგენტოს ცნობით ამერიკულმა სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენებმა ბ-52 და ფრანგულმა „იაგუარებმა" დაიწყეს ქუვეითში განლაგებული ერაყის სახმელეთო და სატანკო შენაერთების ინტენსიური დაბომბვა. ამავე დროს, მრავალეროვნულმა ძალებმა, პენტაგონის ცნობით, შემდეგი დანაკარგები განიცადეს: შეერთებულმა შტატებმა დაკარგა 3 თვითმფრინავი, რომელთა ეკიპაჟის ხუთი წევრი დაღუპულად ითვლება. დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა ორი თვითმფრინავი, იტალიამ და ქუვეითმა—თითო თვითმფრინავი. ამავე დროს ერაყმა დაკარგა სამი საპატრულო კარავანი და სამი მობილური რაკეტგამშვები დანადგარი. განადგურებულია ერაყის გარნიზონების სამი ბაზა ქუვეითში. არის ცნობები, რომ ერაყის არმიაში დაიწყო დეზერტირობა, განსაკუთრებით ქურთი წარმოშობის ჯარისკაცთა შორის, რომელთა რიცხვი 450 ათასს აჭარბებს.

ტრანსპორტი:

პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს

რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე, საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი ალექსანდრე ჩხეიძე.

—ჩვენს სამინისტროში შევიდა ყველა რესპუბლიკური ორგანიზაცია, რომლებიც დაკავებული არიან საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაოსნოს საკითხებით. ამ დარგში დღეს საქმის მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ თვით მეურნეობრიობის სტრუქტურაში, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ბრძანების წესით მტკიცდებოდა ტრანსპორტზე.

—ბატონო ალექსანდრე, რით დაიწყება ტრანსპორტის აღორძინება და ჩამოყალიბება საქართველოში?

—ადმიანით... ჩვენ გადავსინჯავთ ჩვენი მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემას, აგრეთვე ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებას. დაინტერესებული შრომა ყოველ საქმეში წარმატების საწინდარია. რაც შეეხება ტრანსპორტის პარკის განახლების პრობლემებს, მოგახსენებთ, რომ ჩვენ უკვე დავდეთ ხელშეკრულებები რუსეთის ზოგიერთ საწარმოსთან „პაზის“, „ლაზის“ და სხვა მარკების ავტობუსების მოწოდების თაობაზე. შევუდექით აგრეთვე უნგრეთის ფირმა „იკარუსის“ მიერ შემოთავაზებული წინადადების განხილვას. ისინი ითვალისწინებენ თანამშრომლობას ბარტერული ოპერაციების საფუძველზე. იმედი გვაქვს, რომ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას მივაღწევთ. მეორე მხრივ რიინიგზის, ხამოქალაქო ავიაციისა და საქართველოს საზღვაოსნოს ნაციონალიზაციაში ვხედავთ ამ სახის ტრანსპორტის განვითარების გზებს. ჩვენი კოლეგები ადგილებზე უკვე ამუშავებენ თითოეული ქართველისათვის დიდი ხნის ოცნების რეალიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკურ მექანიზმებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შევუდგეთ საკუთარი ავტომობილების, თვითმფრინავების ელექტრომავლებისა და თბომავლების წარმოებას, აგრეთვე რკინიგზის სამგზავრო და სატვირთო ვაგონების გამოშვებას, გემთმშენებლობას. რაც შეეხება სათბობის პრობლემებს, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ამასაც გადავწყვეტთ, როცა ჩვენს საწვავით მომმარაგებლებს საკუთარი პროდუქციით დავაინტერესებთ.

როგორ შეიცვალა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული სტრუქტურა?

—თვითონ სამინისტრო თავისთავად მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ არა საკომანდო-ადმინისტრაციულ საფუძველზე. ჩვენი მუშაობა დაფუძნებულია ქვევიდან ზევით ნაკარნახევ რეკომენდაციებზე, გამოანგარიშებებზე და წინადადებებზე, და არა პირიქით. უახლოეს ხანაში შეიქმნება ახალი საჭირო სამსახურები, მაგრამ ამჟამად არსებული განყოფილებების, საამმართველოებისა და გაერთიანებების აპარატები მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი გადახალისდება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყოველი წამოწყება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით იქნება ნაკარნახევი.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

ვგმობთ ცენტრის აგრესიას

საქართველოს ასეთი ნძიმე დღეები იშვიათად ჰქონია. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას წინ ეღობება იმპერია, რომლისთვისაც ძნელია გემრიელი ლუკმის დაკარგვა. იმისათვის, რომ საქართველომ მიაღწიოს სანუკვარ მიზანს დამოუკიდებლობას, საქართველოში

დავიხარჯოთ

საქართველოსთვის

მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი გვერდში უნდა ამოვუდგეთ ქართველებს-ოსი იქნება ეს, რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი თუ ლეკი. დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში ხომ ყველას უკეთ ცხოვრების, შრომის პირობები გვექნება, ჩვენი კეთილდღეობაც გარანტირებული იქნება. ნაგრამ საამშუხაროდ, ასე როდი ფიქრობს ყველა არაქართველი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, ჩემის აზრით, ერთამე „ამით ლეკი, ერთი ხელოსანი ახალგაზრდა კაცი ვარ. მამაჩემი ლეჩხუმში დაოჯახდა და ვცხოვრობთ აქ დედულეთში. არასოდეს მიგრძვნია, რომ სხვა ერისა ვარ, პირიქით, მე ქართველი დედის კალთაში გავიზარდე, ცაგერის საშუალო სკოლა დავამთავრე, აქ ვეზიარე ყოველ ქართულს, წმიდას, მოძმისა და მოყვასის სიყვარულს, ჩემთვის საქართველოსა და ლეჩხუმის გარდა სხვა სამშობლო არ არსებობს. მაგრამ მე გამონაკლისი როდი ვარ. საქართველომ თავისი მადლიანი კალთა ბევრ ერისკაცს გადაეფარა, მეც ღვიძლად ვეხმიანებ.

გზა ერთია, საქართველოში ვითარების მოწესრიგებისათვის ფეხზე უნდა დავდგეთ ყველა, არავის მივცეთ უფლება საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევისა. თუ ჩვენ ეს არ შევიგნეთ, არ დავირაზმეთ, ქართველი და არაქართველი ერთსულ და ერთ ხორც არ გავერთიანდით, მტერი დაგვამარცხებს.

საქართველომ, ქართველმა ხალხმ, ქართულ მიწაზე მცხოვრებმა ყველა ეროვნების მოქალაქემ, ვინც ჩვენს გვერდით აპირებს სიცოცხლესა და სიკვდილს, ხმა უნდა აღვიმაღლოთ კრემლის დიქტატურის ახალი ტალღის წინააღმდეგ.

საქართველოში 9 აპრილი არამც და არამც არ უნდა გამეორდეს. ეს მაშინ მოხდება, ვიმეორებ, თუ ყველა დავდგებით ერთად, დავიხარჯებით საქართველოსთვის.

გია ჟარულაევი.
ქვედა ცაგერი.

ჩვენ გვწერენ

ნატვრა ასრულდა

სოფელ ზუბში მდინარე კვერეშულას გაღმით მდებარე უბნის 20 ოჯახი წლების მანძილზე გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან მდინარეებზე კვერეშულასა და ხვათულაზე არ იყო ხიდი. ამის გამო უბანში წვიმიან ამინდსა და ზამთრის პერიოდში ავტომანქანა ვერ შედიოდა, ზოგჯერ კვირაობითაც იყო უბანი მოწყვეტილი სოფლის ცენტრს. ამ უბნის მშრომელები ოცნებობდნენ სამანქანო გზაზე და გასული წლის გაზაფხულიდან მათ ოცნებას ფრთები შეესხა, დაიწყო ხიდების მშენებლობისა და გზის გაფართოების სამუშაოები.

ზუბის მოსახლეობა დიდი კმაყოფილია ქუთაისის სპეცსამონტაჟო უბნის უფროს ავთანდილ არსენის ძე გოლეთიანის, სამუშაოს მწარმოებელ სოზარი შალვას ძე ომანაძის, მექანიზატორ ვალერი ნესტორის ძე ბენიძის, მძღოლების შაქრო დავითის ძე ომანაძის, მურმან გიგოს ძე ომანაძის, რომლებიც მთელი მონდომებითა და კეთილსინდისიერად შრომობდნენ ზუბის სოფლის სამანქანო გზის კეთილმოწყობისათვის.

1989-1990 წლებში ცაგერი ქუთაისის ცენტრალური გზიდან ზუბის სოფლის გავლით, სასოფლო საბჭომდე კეთილმოეწყო სამანქანო გზა. გზის მშენებლებმა მდინარეებზე ხვათულასა და კვერეშულაზე ააშენეს კაპიტალური ხიდები, გაფართოებულ გზას გაუკეთეს სანიაღვრე არხები, პატარ-პატარა ღელეებზე ჩაიწყო დიდი მოცულობის ბეტონის მილები, დასასრულს უახლოვდება გაფართოებული გზის მოხრეშვა. ახლა ზუბის რეგიონის ყველა უბანში შედის ავტომანქანა.

სოფლის მთელი მოსახლეობა მადლობელია გზის მშენებლებისა, რომლებმაც აასრულეს ჩვენი ნატვრა და დღეს სოფელს აქვს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა.

გ. ჩაკვეტაძე.
პენსიონერი, სოფელი ზუბი.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

1060 წლის ქართული

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერების მხატვრულ-დეკორატიული მორთულობა ქართველ ხელოვნებათმცოდნე-მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩება. ამ მუზეუმში ინახება ქართული ხელნაწერების მნიშვნელოვანი რიცხვი, რომელთა მხატვრული გაფორმება საყურადღებოა ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული მორთულობის საერთო სურათის წარმოსადგენად.

ამჟერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის ეკლესიიდან შემოსულ სახარებაზე, რომელიც მუზეუმის საცავში დაცულია შიფრით K—76. იგი თაბორის ეკლესიის ნანგრევებში იპოვეს. ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე და ზომით 21X16 სმ-ია, შეიცავს 353 ფურცელს, ტყავგადაკრულ ტვიფრულ ხის ყდაშია ჩასმული; 45 რვეულისაგან შედგება; დაწერილია ლამაზი ნუსხურით, ოქროსფერი მელნით, რომელიც ზოგჯერ მუქდება. მათეს სახარების თავების საძიებელი ერთ სვეტადაა დაწერილი, დანარჩენი ტექსტი კი ორ სვეტად თითო სვეტში 20 სტრიქონია; ახალი პაგინაცია ფანქრით არის შესრულებული; სათაურები — სინგურნარევი ოქროთი; სათაურების, აგრეთვე ყოველი მუხლის პირველი ასო, სახარებათა სახელწოდება და ზოგი სიტყვა დაწერილია ასომთავრულით.

სახარებათა საკითხვების სიმფონიური ცხრილი ანუ ცხრა კამარა—მოთავსებულია 2V—6V ფურცლებზე და აქვს რამდენიმე განსხვავებული ფორმა ამ ხანაში კამარებისათვის მიღებულ ფორმებთან შედარებით: ანტაბლემენტი არ არის, არის მცირე კამარების რიგი ჩაწერილი ოთკუთხედში; კამარები აღმართულია სვეტებზე, ხოლო გამყოფი ხაზები და ორნამენტის ძირითადი მოხაზულობა შესრულებულია ოქროთი; თითოეულ სახარების წინ მარტივ წითელ გრაფიკულ ჩარჩოში, ოქროს საფუძველზე შესრულებული მახარებელთა პორტრეტებია მოთავსებული ასომთავრული წარწერებით. თავსართებს რომლებშიც ოქროს ასოებით სახარებათა სათაურებია მოთავსებული „П“-ს მსგავსი ფორმა აქვთ. ოთხთავის ტექსტს მოსდევს გიორგი მთაწმინდელის ცნობილი ანდერძი, რომელსაც მოჰყვება ვრცელი ანდერძი ხელნაწერის გადამწერის ბასილ თორელ ყოფილისა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ხელნაწერი „დაიწერა ხელითა ცოდვილისა ბასილის თორელ-ყოფილისაითა სანახებსა ასურეთისასა დიდებულისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიასასა, მონასტერსა წარჩინებულსა დიდისა კალიპოსისასა, სადიდებელსა ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელისასა, სამკვიდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა... ხოლო ოდეს აღიწერა წმინდა სახარება ქრონიკონი იყო მაშინ ს3 (1060წ.).“ ამრიგად, ხელნაწერი K—76, როგორც ანდერძმინაწერი გვამცნობს, გადაწერილია ქართველთა საზღვარგარეთულ სავანეში, შავ მთაზე არსებულ ღვთისმშობლის მონასტერში, კალიპოსში 1060 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ K—76 ხელნაწერმა ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ყურადღება იმთავითვე მიიპყრო ანდერძმინაწერებითა და გიორგი ათონელის ანდერძით. ამ ხელნაწერის დეკორატიული გაფორმება და მისი რეპერტუარი კი ბევრი რამით არის საყურადღებო თვით ხელოვნებათმცოდნეებისათვის.

K—76 ხელნაწერის დეკორს გააჩნია თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია IX—X სს. ქართული ხელნაწერებისათვის; უველაზე მეტად ეს აისახა კამარების რაოდენობაში, საწინააღმდეგოდ საქართველოში ამ დროისათვის გავრცელებულ 8 გვერდიანი სერიისა, (უფრო ადრეულ ხელოვნებაში მიღებულ იყო 7 გვერდიანი), K—76 შეიცავს 9 გვერდიან კამარების ცხრილს. ბიზანტიური ხელოვნება უკვე X—XI სს. მიჯნაზე გადადის 10 გვერდიან კამარების ცხრილზე (ე. წ. „დიდი სუიტა“ კამარებისა). რა თქმა უნდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ საქართველო, რომელიც ამ დროს რელიგიურ საკითხებში, ორიენტაციას იღებს ბიზანტიაზე, ქართულ ხელნაწერებში შემოიღებდა 10 გვერდიან კამარების სერიას, მაგრამ, როგორც ამ დროის ქართული ხელნაწერები გვიჩვენებენ ისინი არ ჩქარობენ 7 და 8 გვერდიანი სერიიდან 10 გვერდიანზე გადასვლას, პირიქით, უფრო ადრეული ხანის მხატვრულ ტრადიციებს მისდევენ. მაგალითად, შავი მთის მონასტრებში გადაწერილ ხელნაწერებში კამარების რიცხვი არ ემთხვევა არც ქართულ და არც ბიზანტიურ ტრადიციებს, განსხვავებულია იგი სირიული 16 გვერდიანი ტრადიციიდანაც, მაგალითად, ალავერდის სახარება შეიცავს 14 გვერდიან კამარების სერიას, ასევე რუისის სახარებაც. რაც შეეხება კალიპოსის მონასტერშივე გადაწერილ (1054წ.) ხელნაწერს, იგი სრულად არ არის დაცული და ნაკლულია სწორედ იმ ნაწილში, სადაც კამარებია მოთავსებული, შემორჩენილია მხოლოდ 6 კამარა, რაც არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ მათი თავდაპირველი რიცხვი.

ის გარემოება, რომ ქუთაისის, ალავერდისა და რუისის სახარებები, კამარების რაოდენობის მხრივ არ მისდევენ არც ბიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქუმის არასრულ საშუალო სკოლაში

მადლობა

წინების მანძილზე ცდილობდა სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სპორტული მოედნის მოასფალტებას, მაგრამ სურვილი სურვილდა რჩებოდა. გასულ წელს კი გატყდა ნავსი და 40 ტონა ასფალტი დაიგო, დამშვენდა სკოლის ეზო. გაიხარეს მოსწავლეებმა. ისინი ხომ რაიონის ჩემპიონები არიან სპორტის ბევრ სახეობაში.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მადლობას უხდის კოოპერატივ „ჯონოულის“ ხელმძღვანელს ტ. კოპალიანს და წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშაკებს გაწეული სპონსორობისათვის.

მადლობა ჩქუმელ ახალგაზრდებსაც, რომლებმაც ფიზიკური დახმარება გაგვიწიეს.

ნ. მამარდაშვილი,
ფიზკულტურის მასწავლებელი.

ექსკურსია დევიზით: „ჩვენი მხარე“

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მე-5 მე-9 კლასების მოსწავლეებმა მოაწყვეს ექსკურსია დევიზით „ჩვენი მხარე“. ექსკურსიის მარშრუტი მარტივი, მაგრამ საინტერესო იყო—ქუთაისის ისტორიული ძეგლების დათვალიერება.

მოსწავლეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ექსკურსიამძღოლების საუბრები ბაგრატის ტაძრის და გელათის ისტორიაზე. მოსწავლეთა ექსკურსია დაემთხვა გელათში სოლომონ მეფის ნეშტის გადმოსვენებას ისტორიის მასწავლებელმა ისაუბრა იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის ცხოვრებაზე. გადაღებულ იქნა სამახსოვრო სურათები. იმ დღესვე მოსწავლეები დაესწრნენ ქუთაისის შესანიშნავი თეატრის დადგმას „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ექსკურსიამ საინტერესოდ ჩაიარა.

ჩვენი სამომავლო ექსკურსიის მარშრუტი ასეთია: ცაგერი-თბილისი -ერევანი, რომელიც მაისის თვეში დავგეგმეთ.

შორენა სვანიძე,
მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი.

32 ალვის ხე

სამამულო ომის დამთავრების მე-40 წლისთავზე სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ჩქუმის შესასვლელში „ინმოუსვლელთა ხეივნის შექმნას. ინიციატივას სოფლის ახალგაზრდობა ამოუდგა გვერდში და სიტყვაც საქმედ იქცა. ახლა ხეივანი 5 წლისაა და შრიალებს 32 ალვის ხე. რიცხვი ოცდათორმეტი სოფლისათვის მრავლის მთქმელია—სოფელში ხომ სულ 40 ოჯახია.

სკოლა ყურადღებას არ აკლებს ხეივნის გალამაზებას. გასულ წელს ხეივანში ყვავილნარის მოწყობა დავიწყეთ. ვფიქრობთ, მარტივი მემორიალის მოწყობას.

დაე, იშრიალოს ალვის ხეებმა.

მარინე ირემაძე,
მასწავლებელი.

ბუნკერი სტალინისათვის





კუიბიშევი. უკანასკნელ დრომდე სპეციალურად სტალინისათვის აშენებული მიწისქვეშა ბუნკერის არსებობა საიდუმლოება იყო და აი იქ მოხვედრის საშუალება მიეცათ ჟურნალისტებს. ობიექტი აშენდა 1942 წელს, როცა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ყველაზე მძიმე მდგომარეობა იყო. მოსკოვის მეტრომშენის პროექტით სპეცგანაყოფების მშენებლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ უმაღლეს მთავარსარდლობას საფარი ჰქონოდა და იქიდან გაეწია ხელმძღვანელობა არმიისათვის მოსკოვის ჩაბარების შემთხვევაში. თავშესაფარი 38 მეტრის სიღრმეზეა განლაგებული და გათვალისწინებულია 100 კაცზე 3,5 მეტრი სისქის ბეტონის კედელი პლიუს 20—მეტრიანი მიწის ბალიში საიმედოდ იცავდა ბუნკერს ბომბებისაგან. საბედნიეროდ, ბუნკერი საჭირო არ გამხდარა. ახლახან მიღებულია გადაწყვეტილება მისი ოლქის სამოქალაქო თავდაცვის შტაბზე გადაცემის შესახებ. აქ მოეწყობა მიწისქვეშა მუზეუმი—სამოქალაქო თავდაცვის სამოსწავლო-ისტორიული ცენტრი.

სურათებზე (ზევით): აქ 1942 წელს იმყოფებოდა სკპ (ბ) ცკ-ის აპარატი. ომის შემდგომ პერიოდში მუშაობდა ადგილობრივი სკკპ საოლქო კომიტეტი. ახლა კი შენობა ეკუთვნის კულტურის ინსტიტუტს. ამ შენობის ეზოშივე არის №1 ობიექტის ჩასასვლელი.

ქვევით—დარბაზი, გათვალისწინებული სხდომებისათვის.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მხიარული ზეიმი

საახალწლო ზეიმი სკოლამ სოფლის კლუბში გამართა. გაიწყო საახალწლო ნაძვის ხე, დამონტაჟდა დასაკრავი ინსტრუმენტები. ღონისძიება მოამზადეს მასობრივი მუშაობის ორგანიზატორმა შ. სვანიძემ და მუსიკის მასწავლებელმა გ. მუშკუდიანმა. ზეიმში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც, მოწვეული იყვნენ მშობლები, ომისა და შრომის ვეტერანები.

დარბაზი სანთლებით გაჩირაღდნდა. სიჩუმეში ისმის სიტყვები: თავისუფლება მიეცით ქართველს!

ამინ! მრავალ ახალწელს, ჩვენო საქართველო.

რუბენ დავითულიანი,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

სახარება

ტიურ და არც სირიულ ტრადიციას (განსაკუთრებით შავ მთაზე გადაწერილ ხელნაწერებში იგრძნობა ეს), გვაფიქრებინებს გადამწერლების თავისებურ დამოკიდებულებაზე ქართული სახარების ტექსტში კამარების რიცხვის საკითხისადმი. კამარების რაოდენობით ქუთაისის ხელნაწერის პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს ბერთის სახარება (X ს. II ნახ), აქ კამარების რიცხვი დღეისათვის თუმცა ნაკლულია, მაგრამ თავდაპირველად უდრიდა ცხრას, ე. ი. არის გადახრა ნორმიდან, როგორც ბიზანტიურ, ასევე ქართულ ნაწერებში მიღებული რიცხვიდან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერთისა და ქუთაისის სახარებებში დაცული 9 გვერდიანი კამარების რიცხვი შედეგია უძველესი, ჩვენთვის უცნობი, პროტოტიპის გავლენისა, რომელსაც მიჰყვება ორი ქართველი ოსტატი და რომელიც, როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდხანს შემორჩა ისეთ მხატვრულ სკოლებში, როგორიც იყო ქართული მონასტრები ბერთში და კალიპოსში.

შავ მთაზე უძველესი ბიბლიოთეკების და ტრადიციების არსებობაზე, ამავე დროს სომეხი გადამწერლების კონტაქტებზე ქართულ სკრიპტორიუმებთან, მოწმობის 1113 წლის სომხური ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია შავ მთაზე დრაზარკის ღვთისმშობლის მონასტერში. ეს ხელნაწერი შეიცავს როგორც სომხური, ასევე ბიზანტიური ხელნაწერებისათვის, არა ტრადიციულ კამარების რიცხვს—15 გვერდიან კამარების სერიას:

K—76-ის კამარების ხასიათი იძლევა ტიპს, რომელშიც სწორკუთხა ჩარჩო მცირე კამარების რიგით, ეყრდნობა ორ ნაზ სვეტს, იგი შესრულებულია კალმით—ოქროთი წითელ ფენილზე და და გრაფიკული ხასიათი აქვს. ამ სწორკუთხოვანი ჩარჩოს შიდა არე გაყოფილია ორ ნაწილად წვრილი სვეტით და დახაზულია გრაფიკული ბადით, რომელშიც სახარების შედარებითი ცხრილებია მოთავსებული. ყოველი ვერტიკალური დანაწევრება ამ ბადისა დასრულებულია ზემოდან პატარა კამარის მრუდით.

მახარებელთა პორტრეტული გამოსახულებანი, ჩვეულებრივად, XI საუკუნეში მიღებულ ტრადიციას მიჰყვება: მახარებლები მათე, მარკოზი და ლუკა მოცემულნი არიან მაგიდის წინ მჯდომარენი სახარების გადაწერის ან მოფიქრების მომენტში, ხოლო იოანე ფეხზე მდგომი კარნახობს ტექსტს თავის მოწაფეს პროხორეს.

თავისი დროისათვის მიღებული მიდგომის თანახმად, რაც მახარებელთა გამოსახულებების ინდივიდუალურ დახასიათებაში, თითოეული პორტრეტული სახის ცოცხლად და დამახასიათებლად გადმოცემაში აისახა, მოწმობენ მხატვარ ოსტატის გამოცდილებასა და დიდ პროფესიონალიზმს. მახარებელთა გამოსახულებანი ეს დიდი ოსტატობით შესრულებული ფსიქოლოგიური პორტრეტებია: მათე მახარებელი შემოქმედებითი შთაგონების პოზაშია, მარკოზს შუბლთან მიაქვს ხელი დაფიქრების ნიშნად, ლუკა წერს მუხლზე გადაშლილ წიგნში, ხოლო იოანე ღმრთისგან შთაგონებული კარნახობს თავის მოწაფეს პროხორეს. რბილად შემოხაზული სახის ნაკვთები დამუშავებულია თვალში საცემი კონტურული ხაზის სიმკვეთრის გარეშე, ხოლო სამოსელის ნაოჭები, გრაფიკული რბილი ხაზებით დამუშავებული, დეკორატიულად ლაგდება სხეულის ზედაპირზე.

იკონოგრაფიულად მახარებელთა გამოსახულებანი არ შეიცავენ რაიმე არაჩვეულებრივს. მდგომარე იოანესი და მისი მჯდომარე მოწაფის წყვილადი გამოსახულება გავრცელებულია შუა საუკუნეების მინიატურაში. მაგრამ ამ მინიატურაში არის გვიანანტიკური პერიოდის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ერთი დეტალი, რომელიც წინა აღმოსავლეთში იშვა და შემდეგ შეისისხლხორცა ბიზანტიურმა ხელოვნებამ, ეს არის—დეკორატიული ბალახოვანი ყვავილების მოტივი ლუკასა და იოანეს ფეხებთან.

K—76-ის მინიატურების კოლორიტი იგება ოქროს ფონის შეხამებაზე ცისფერის, ვარდისფერის, იასამნისფერის, წითელის, მელნისფერის, მოყავისფროს ურთიერთშეთანხმებაზე. თვით ეს მომენტიც კი აფერადებაში ამ დროისათვის ასეთი ნათელი ფერადოვანი პალიტრის გამოყენება არსებითად განასხვავებს მას XI—XII სს. ქართული ხელნაწერისაგან, რომელთა მინიატურების პალიტრა ძირითადად ბიზანტიურ ფერთა (ლურჯი, ოქროს და მწვანე) შეხამებით გამოირჩევა. ლეჩხუმური ხელნაწერის მინიატურების ნათელი ფერადოვანი პალიტრა, უფრო ადრეული ხანის ხელნაწერებისათვის არის დამახასიათებელი, ან იმ ხელნაწერებისათვის, რომლებიც ადრეული ნიმუშების ასლებს წარმოადგენენ. ამ მხრივ ლეჩხუმური ხელნაწერი კვლავ დიდ ხიახლოვეს ადიშის ოთხთავისადმი ამყლავნებს, განსაკუთრებით მოვარდისფრო ტონის გამოყენებაში და ფორმის თავისუფალ, იმავე ფერის სხვა ძალით დამუშავებაში.

ამრიგად, K—76 ქართული ხელნაწერი—წიგნის დეკორატიული მხატვრული გაფორმების მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს, რომლის უკან უფრო ადრეული IX—X ს. პროტოტიპი დგას. ეს სიძველე კარგად აისახა ერთის მხრივ კამარების რიცხვის ორიგინალობაში და მათი აგების ხასიათში.

ლეჩხუმურ ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მინიატურული ხელოვნების ისტორიისათვის.

იზოლდა ჟიჟინაძე.

თამრიკო ბონდოს ასულ სანაძეს
ზაზა იაგოს ძე ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ მრავალუამიერ.

გია, ნონა, ნატო, გოგი, სოფო, დათო, ნათია მიქაძეები.

ლალი გელას ასულ ახვლედიანს
მირზა ავთანდილის ძე ხეცურიანს

გილოცავთ ბედნიერებას, ბევრი სასახელო შვილი გაგეზარდოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ალპანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.



მაია ირემაძეს

მაიკო! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ნატო, დათო, გიორგი კვენეტაძეები.

ღარისა ახვლედიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ცაგერის საშუალო სკოლის VIII ბ კლასის მოსწავლეები.

ნათელა ხუციძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

ალპანის სამკერვალო საწარმოს თანამშრომლები.

გულო და შოთა კოპალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი, ყოფილიყოს ჯანმრთელი, კეთილი, სულით ძლიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ხათუნა, ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეები.

ნათელა მინდელის ასულ ცხვედიანს
ჯიგიღო დადაშის ძე ლეშკაშელს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, დაბადების დღე კვლავ მრავალჯერ მოგველოცოს თქვენთვის.

იამზე, სოსო ცხვედიანები.

გივი აღფეზის ძე ლაკვეხელიანს
ნანული ვლადიმერის ასულ გოგიძეს

გილოცავთ პირველი შვილიშვილის შეძენას. კვლავ მრავალი და-ძმა შემატებოდეს მამულისა და ერის საკეთილდღეოდ.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

გელა შოთას ასულ შკუბულიანს
კარღო კაენის ძე კოპალიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. დალოცვილი ყოთილიყოს მისი ოჯახი, შვილთმრავლობას და სიხარულს ვუსურვებთ.

ჯემალ, თალიკო, რამაზ, თამაზ კოპალიანები.

საკვები მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველო! ჩვენი გაზეთი დღეიდან იწყებს ჩვენს ირგვლივ, გასაკუთრებით კი ლეჩხუმში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების მნიშვნელობაზე საუბარს ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზეგავლენისა და გამოყენების წესის გაშუქებას.

ამ თემაზე მასალათა ციკლის გამოქვეყნებას პირველ რიგში საკვები მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობაზე საუბარით ვიწყებთ.

ბროწეული

ბროწეული ნაყოფისმომცემი ერთ-ერთი პოპულარული მცენარეთაგანია. იგი გვხვდება როგორც სამეურნეო კულტურაში დანერგილი, ისე ველური სახით. ბროწეულის ნაყოფი სასიამოვნო ხილია და კარგი საკმაზიც, იგი შემოდგომაზე შემოდის და მომავალ ზაფხულამდე ინახება, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში მოაქვს საარგებლობა, საგემოვნო თვისებების მიხედვით არჩევენ ტკბილ, ტკბილ-მჟავე და მჟავე ჯიშებს, მათში წვენის რაოდენობა მერყეობს ნაყოფის წონის მიმართ 38,5 და 63,4-მდე პროცენტის ფარგლებში. ტკბილი ბროწეული გამოიყენება როგორც დესერტი, მისგან ამზადებენ წვენს, სიროფს, ვიტამინიზებულ და გამაგრილებელ სასმელებს, ველურად მზარდი და მჟავე ჯიშებიდან იღებენ ლიმონის მჟავას.

ბროწეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი მცენარეა. ნაყოფის კანში, ფოთლებში, ღეროს ქერქში და ფესვებში მოიპოვება ტანინები (20-28 პროცენტით) შაქრები, ალკალოიდები, ანტოციანები.

ბროწეულის სამკურნალოდ გამოყენება ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე დაიწყეს. მის წვენს და ნახარშს ხმარობდნენ ჭრილობების შესახორცებლად, კუჭის აშლილობისას, დამწვრობის საწინააღმდეგოდ, პირში და ყელში გამოსავლებად, საფენებად, ბროწეულის ქერქის გამონაწვლილს კი—ჭიების დამდეგად. დასხვა. მეცნიერულმა შესწავლამ განამტკიცა ბროწეულს, როგორც სამკურნალო მცენარის როლი. დადგინდა, რომ მასში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა განსაკუთრებულ ძალ შემკერელ და ბაქტერიოციდულ მოქმედებას, ხოლო ალკოლოიდების ჯამში იზოპელეტიურინის აღმოჩენამ ნათელი მოჰფინა ბრტყელი ჭიების საწინააღმდეგოდ ბროწეულის გამოყენების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. გარდა სპეციფიკური მოქმედების პრეპარატებისა ბროწეულისაგან იღებენ ლიმონმჟავა ნატრიუმს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის გადასხმაში, როგორც საკონსერვაციო საშუალებას.

ბროწეულის კულტურა ოთხი ათასი წლის წინა ხანიდანაა ცნობილი, ბოტანიკური, ფოლკლორული და ისტორიული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ მისი თანამედროვე ფორმები ირანსა და კავკასიაში წარმოიშვა. ბროწეულის გავრცელებას ბევრ ქვეყანაში საეკლესიო ხასიათი ჰქონდა, საქართველოში ამ მცენარის კულტურისათვის გასაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. უკანასკნელ წლებში გაიზარდა ინტერესი ბროწეულის საწარმოო ბაღების გაშენებისადმი.

მოკლედ

მეექვსე თაობის ტელევიზორი

ლვოვი. „ელიტ"—ასე უწოდება მეექვსე თაობის ტელევიზორს, რომელიც შექმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელექტრონის" კოლექტივმა. მას შეუძლია 39 პროგრამის მიღება, მათ შორის ევროპის ქვეყნების ტელეგადაცემებისაც. აპარატს შეიძლება მიუერთდეს ვიდეომაგნიტოფონი და გამომთვლელი კომპლექსი. ახალი ტელევიზორის სერიული გამოშვება დაიწყება 1991 წელს. მიკროსქემების ნაწილს და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს მოაწვდის ერთ-ერთი დასავლური ფირმა.

„კბილბასრი" ღაზერი

ალმა-ათა. უსიამოვნო შეგრძნებების თავიდან აცილებაში, რასაც იწვევს კბილის მექანიკურ-გაბურღვა, დაგვეხმარება ალმა-ათის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერების ნამუშევარი. მან ხორცი შეისხა ლაზერულ სხივიან დანადგარში, რომელმაც ბორის მანქანა შეცვალა. მკურნალობის ახალი მეთოდის ეფექტიანობაზე მეტყველებს კარგი შედეგები, რომლებიც რესპუბლიკურ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მიიღეს. ადგილობრივმა მანქანათმაშენებელმა ქარხანამ დაიწყო ამ აპარატების გამოშვება.

იური მიხეილის ძე კოპალიანს
ნინო გივის ასულ ლაკვეხელიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. კვლავ მრავალი შვილი შემატებოდეს თქვენს ფუძე-ჭერს.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ღავრენტი გოგებაშვილს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას. ბედნიერ სიბერეს გისურვებთ.

შალვა გოგებაშვილი, გრიგოლ ბურჯალიანი, გოგი ფურცხვანიძე ოჯახებით.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

შვილები ოლია, ზურაბი, და ანიჩკა, შვილიშვილები ზაური, გულნარა კოპალიანები, ციური, ეწვერი, გურამ, პავლუშა, გოჩა თვარაძეები, რძლები ნორა, ანიკო, ელიკო, ეთერი, ციცო, ქალია, ნატო, სიძეები გრიშა ეზომავა, ბადრი მჟავია, ტარიელ ჭიჭინაძე, შვილთაშვილები ზაალი, ელზა კოპალიანები, ნატო, პაატა, გოგიტა გზობავები, კოტე ნინო ქავეიები, ირაკლი, გიორგი, თორნიკე, ეკა თვარაძეები, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კეხა გუგავა-თვარაძე.

გამოსვენება სოფ. ქვედა ცაგერიდან, 24 იანვარს, ხუთშაბათს 3 საათზე, დაკრძალვა სოფ. ზხუტელში.

ცაგერის №2 ბავშვ-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული კოპალიანს სიძის

რაინდი (რეზო) გუგავას

გარდაცვალების გამო.

ოთარ თვარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ელიზო, ვალერი ბენდელიანებს მამისა და სიმამრის

კუკური მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიკოპერატივის ბუღალტერიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუგული და ზაურ ნემსწვერიძეებს მამიდის

თინა ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №5. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-2. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.